სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშის გაფორმების და წარდგენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის (შემდგომში „ინსტიტუტი“) საბაზო დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) გაფორმების და წარდგენის წესი (შემდგომში „წესი“), ასევე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) სხდომაზე ანგარიშის წარდგენისთვის გასავლელი ეტაპები.
2. ამ წესით დადგენილი მოთხოვნების სრულად შესრულებამდე ანგარიშის საბჭოს სხდომაზე გატანა დაუშვებელია.

მუხლი 2. ანგარიშის შემადგენელი ნაწილები

1. სატიტულო ფურცელი (ანგარიშის პირველი გვერდი), რომელზეც თანმიმდევრულად აღნიშნულია:
1.1. ინსტიტუტის ლოგო და ინსტიტუტის დასახელება „სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი“;
1.2. „ვამტკიცებ“, ინსტიტუტის დირექტორი, დირექტორის ხელმოწერა, სახელი, გვარი, ხელმოწერის თარიღი, ბეჭედი;
1.3. „_____ წლის საბაზო დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიში“;
1.4. პროექტის ნომერი;
1.5. პროექტის დასახელება;
1.6. საბჭოს თავმჯდომარის, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, პროექტის ხელმძღვანელ(ებ)ის, თანამდებობათა სრული დასახელებები, სამეცნიერო ხარისხი, სახელები, გვარები და ხელმოწერები;
1.7. ქალაქი და წელი.

2. სარჩევი:
2.1. სარჩევში მიეთითება ამ მუხლის 1-10 პუნტებით განსაზღვრული ნაწილები.
2.2. სარჩევში ნახაზები, ცხრილები და სხვა ინომრება ყველაზე დაბალი საფეხურით შიგნით.

3. შემსრულებელთა სია:
3.1. შემსრულებელთა სია წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით, რომელსაც აქვს 6 გრაფა: 1 - ნომერი; 2 - გვარი, სახელი; 3 - თანამდებობა (საშტატო განრიგის მიხედვით); 4 - ფუნქცია (სამეცნიერო ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი შემსრულებელი, კონსულტატი, შემსრულებელი); 5 - შესრულებული სამუშაო; 6 - ხელმოწერა.
3.2. თუ ხელმოწერის გრაფაში ვერ ხერხდება ხელმოწერის გაკეთება სხვადასხვა გარემოების გამო (შემსრულებლის სამსახურიდან განთავისუფლება, გარდაცვალება,

შრომითი ხელშეკრულების დროებით შეჩერება ან სხვა), ამავე გრაფაში უნდა დაფიქსირდეს მიზეზი.

4. ინსტიტუტის ____ წლის პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი საბიუჯეტო (საპროექტო) განაცხადი.

5. რეფერატი:

5.1. რეფერატი წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

5.2. გრიფით საიდუმლო პროექტის შემთხვევაში, რეფერატი წარმოდგენილ უნდა იქნას მხოლოდ ქართულ ენაზე.

5.3. რეფერატი (ორივე ენისთვის) წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი სახით:

5.3.1. პროექტის „დასახელება“ ანგარიშის რეფერატი;

5.3.2. უაკ (უნივერსალური ათასწლეულის კლასიფიკაცია);

5.3.3. რეფერატის შედგენის თარიღი;

5.3.4. „ანგარიში წარმოდგენილია --- გვერდზე, შეიცავს --- ნახაზს/ფოტოს, --- ცხრილს, --- ლიტერატურულ წყაროს, --- დანართს;

5.3.5. საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს ხუთისა);

5.3.6. რეფერატის ძირითადი ტექსტი: კვლევის საგანი და აქტუალურობა, გამოყენებული მეთოდი/მიდგომა, სიახლე და მიღებული შედეგი.

5.4. რეფერატის ტექსტი უნდა შედგეს იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში იგი პრაქტიკულად რედაქტირების გარეშე წარედგინოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. გარდა ამისა, ეს რეფერატი გამოყენებული იქნეს, აგრეთვე ინსტიტუტის წლიური (ნაკრები) ანგარიშის შედგენისას და იგი შესაძლოა განთავსდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

5.5. რეფერატის მოცულობა უნდა იყოს 100-150 სიტყვის ფარგლებში.

6. საკუთრივ ანგარიში:

6.1. საკუთრივ ანგარიში უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, კვლევის საგანი, კვლევის მეთოდოლოგია, ჩატარებული კვლევები, მიღებული შედეგები, დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურა.

6.2. ანგარიშის ტექსტი (შინაარსი) უნდა პასუხობდეს იმ განაცხადს, რომლითაც წლის დასაწყისში დაიგეგმა ეს სამუშაო. თუ განსხვავება მნიშვნელოვანია, თან უნდა ახლდეს ამ ცვლილებების მიზეზები და საბუთი მისი შეთანხმების შესახებ.

6.3. საკუთრივ ანგარიშის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 20 ფურცლისა.

6.4. აუცილებლობის შემთხვევაში საკუთრივ ანგარიშს შეიძლება ერთვოდეს სხვა მასალა.

6.5. საკუთრივ ანგარიშის ტექსტში ლიტერატურულ წყაროზე მითითება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად - [__].

7. ელექტრონული ვერსია:

7.1. ანგარიში უნდა მოიცავდეს ელექტრონულად წარმოდგენილ შემდეგ დოკუმენტებს:

7.1.1. საბჭოზე წარსადგენი საპრეზენტაციო ფაილი, შედგენილი MS PowerPoint-ში - ერთი ცალი;

7.1.2. ანგარიშის სრული ტექსტი PDF ფორმატში - ერთი ცალი.

8. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სემინარზე ანგარიშის განხილვის დამადასტურებელი ოქმი უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.

9. ყოველწლიურად ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული რეცენზენტ(ებ)ის მიერ მომზადებული და ხელმოწერ(ებ)ით დადასტურებული რეცენზი(ები)ა.

10. „2017 წლის საბაზო დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საბოლოო ანგარიშების მოსმენის გრაფიკის შესახებ“ ინსტიტუტის დირექტორის №44 (08.11.2017) ბრძანებით (შემდგომში „ბრძანება“) დამტკიცებული საბაზო დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფორმალური მოთხოვნებისადმი შესაბამისობის შემმოწმებელი შიდა საინსტიტუტო კომისიის (შემდგომში „კომისია“) აქტი.

11. გრიფით საიდუმლო პროექტის შემთხვევაში, ანგარიში აკინძვის გარეშე უნდა გადაეცეს ინსტიტუტის საქმისწარმოების სამმართველოს საიდუმლო საქმისმწარმოებას შემდგომი დამუშავებისათვის.

12. ამ წესის მეორე მუხლის 1, 2, 3 და 5 პუნქტების ნიმუშები წარმოდგენილია წესის დანართის სახით და უნდა გადაეცეთ სამუშაოს ხელმძღვანელებს ელექტრონული სახით.

მუხლი 3. ტექნიკური მოთხოვნები ანგარიშისადმი

1. ანგარიშის ამ წესის მეორე მუხლის 1, 2, 3, 5, 6, 8, 9 პუნქტებით განსაზღვრული ნაწილები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნებს: შრიფტი-Sylfaen, ზომა - 12, ინტერვალი-1.5, მინდვრები: მარცხნიდან-30, მარჯვნიდან-15, ზევიდან და ქვევიდან -20მმ.
2. ანგარიშის ამ წესის მე-2 მუხლის 4, 10, 11, პუნქტებით განსაზღვრული ნაწილები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნას: შრიფტი-Sylfaen.
3. ანგარიშის ამ წესის მე-2 მუხლის 1, 3, 8 პუნქტებით განსაზღვრულ ნაწილებზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემდეგი ტექნიკური მოთხოვნები: შრიფტის ზომა - 12, ინტერვალი-1.5.
4. სატიტულო ფურცელი არ ინომრება. ფურცელი ინომრება აკნიძვის წინ, ქვემოთ, შუაში. ნუმერაცია იწყება მე-2 ფურცლიდან (2, 3 და ა.შ.).
5. ანგარიში, გრიფით საიდუმლოს გარდა, განხილვისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს აკინძული სახით (დასაშვებია პლასტიკური რგოლებით შეკრული მასალის წარმოდგენა), შესაბამისი დამცავი ყდით.
6. ანგარიშში ყველა ხელმოწერა უნდა შესრულდეს ლურჯი ფერის კალმით.

მუხლი 4. ანგარიშის კომისიისთვის წარდგენა

1. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო განხილული უნდა იქნეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სემინარზე.
2. სამუშაო რეცენზირებისთვის უნდა გადაეცეს ინსტიტუტის დირექტორის ყოველწლიური ბრძანებით განსაზღვრულ რეცენზენტებს.

3. სამუშაოს ხელმძღვანელმა, საბჭოზე განხილვამდე, ინსტიტუტის დირექტორის ყოველწლიური ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ანგარიში უნდა წარუდგინოს კომისიას.
4. კომისიისთვის წარდგენილი ანგარიში უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მეორე და მესამე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. კომისიის მიერ ანგარიშის განხილვა

1. კომისია ანგარიშს, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს მისთვის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში და ადგენს მის შესაბამისობას ამ წესის მეორე და მესამე მუხლებთან.
2. კომისია უფლებამოსილია განიხილოს ანგარიში თუ სხდომას ესწრება თავმჯდომარე და მინიმუმ ორი წევრი.
3. ანგარიშში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისიის სხდომის ოქმში დეტალურად უნდა აღინიშნოს ყველა ის ხარვეზი, რომელსაც იგი გამოავლენს. ანგარიში, კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერთან ერთად, უბრუნდება სამუშაოს ხელმძღვანელს გასასწორებლად, რომელიც ვალდებულია კომისიის მიერ ოქმში მითითებულ ვადაში აღმოფხვრას დაფიქსირებული ხარვეზები და კორექტირებული ანგარიში გადასცეს კომისიას ხელმეორედ განხილვისათვის.
4. კომისია ვალდებულია, მისთვის დაბრუნებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში განმეორებით განიხილოს კორექტირებული ანგარიში და შეამოწმოს აღმოფხვრილია თუ არა მათ მიერ მითითებული ხარვეზები ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.
5. კომისია ანგარიშზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ ყველა ფორმალურ მოთხოვნას, აფორმებს აქტს და აკეთებს ჩანაწერს - <u>სამუშაო აკმაყოფილებს ძირითად ფორმალურ მოთხოვნებს და იგი შეიძლება განხილული იქნეს სამეცნიერო საბჭოზე</u>.
6. აქტი ძალის მქონედ ითვლება, თუ მას ხელს აწერს კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.
7. კომისიის აქტის გარეშე ანგარიშის საბჭოს სხდომაზე განხილვა დაუშვებელია.
8. კომისია ანგარიშს აქტთან ერთად გადასცემს საბჭოს მდივანს, არაუგვიანეს საბჭოზე განხილვის გრაფიკით გაწერილი თარიღის წინადღისა.
9. კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების დროულად ვერ აღმოფხვრის შემთხვევაში, სამუშაოს ხელმძღვანელის დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე, საბჭოზე ანგარიშის განხილვის დადგენილი გრაფიკი შეიძლება შეიცვალოს ბრძანებით.

მუხლი 6. ექვსი თვის ანგარიში

1. ყოველი წლის ექვსი თვის ანგარიშზე ვრცელდება ამ წესის მეორე მუხლის 1, 2, 3, 4, 5, 6 (გარდა 6.3 პუნქტისა), 7 (გარდა 7.1.1 ქვეპუნტისა), 8, 11 პუნქტების და მესამე მუხლის მოთხოვნები.
2. ექვსი თვის ანგარიშში ამ წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტი წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი სახით „____ წლის საბაზო დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ექვსი თვის ანგარიში“.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

მზა ანგარიშის საბჭოზე განხილვას ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი.